№ 96

წელიწადი მეორე — წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე — ყოველდღიური გაზეთი

ფასი 1 მან.

საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 4 მაისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მის თანამშრომელ ქრონიკორ

გიორგი მიხეილის ძე
პ ა ვ ლ ო ვ ი ს

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გასვენება დღეს ქაშვეთის ეკლესიიდან წმ. ნინოს სასაფლაოზე.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

კვირას, მაისის 4-ს, დილით **ჯამბაზები და ბალეტი** (ვალპურგიის ღამე)

საღმოს მ. ი. ალეშკოს, მარკოვის, თეოდოროვის, პოლიაევის, ნიკოლსკის და ისეცკის მონაწილ. **აფრიკელი ქალი**

ორშაბათს, მაისის 5-ს, „დემონი“ (ქართულ ენაზე). სამშაბათს, მაისის 6 ს ალეშკოს მონაწილეობით „ტრუბადური“ ოთხშაბათს მე-11-ჯერ „აბესალომი და ეთერი“. 7991—1

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო

ამით აუწყებს ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა კოოპერატივებს (როგორც მომხმარებელთა, აგრეთვე საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს), რომ 23 მაისს ქ. ტფილისში შესდგება

კოოპერატიული ყრილობა

საქართველოს კოოპერატივებისა და 25 მაისს, ქ. ტფილისშივე შესდგება ამიერ-კავკასიის (საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის) კოოპერატიული ყრილობა.

ყრილობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ტფილისში, პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 178 ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში.

3—3 758 ამიერ-კავკასიის კოოპერატივების ყრილობათა **საბჭო.**

ტფილისის კომერციული ნავთის სამრეწველო საზოგადოების გამგეობა

ამით იწვევს ბ. ბ. აქციონერებს წლიურ საზოგადო კრებაზე, რომელიც უნდა შესდგეს 1919 წ. მაისის 25-ს, საზოგადოების კანტორაში, ერევნის მოედანი, ვაჭართა ბანკის ბინაზე, დილის 11 საათზე. **განსახილველი საგნები:** 1. გამგეობის მოხსენება. 2. იმ საკითხების განხილვა, რომლებიც აღიძრება გამგეობის მოხსენების გამო. 3. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4. 1918 წ. ანგარიშისა და ბალანსის განხილვა და დამტკიცება. 5. 1919 წლის ხარჯთ აღრიცხვა. 6. გამგეობის ერთი წევრის არჩევა, მათ მაგიერ, რომლებიც რიგ-რიგობით ანებებენ თავს სამსახურს და გამგეობის წევრის ერთი კანდიდატისა. 7. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა. თუ საზოგადო კრება არ შესდგა წევრთა საჭირო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება დანიშნულია იქავე 1919 წ. ივნისის 8-ს, დილის 11 საათზე, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება მიუხედავად ხმის რაოდენობისა. 564 1—1

თანახმად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ სამმართველოს

მიმდინარე წლის 17 აპრილის დადგენილებისა, 11 მაისს, კვირას, დილის 11 საათზე საბებიო ინსტიტუტის შენობაში (ოლღას ქუჩ.) დანიშნულია აღნიშნული საზოგადოების

საგანგებო კრება

უძრავი ქონების შეძენის შესახებ. წევრთა დასწრება ამ კრებაზე აუცილებელია. წევრების გამოუცხადებლობის მიზეზით თუ დანიშნულ დროზე კრება არ შესდგა, მაშინ იგი ინიშნება წესდების მე-70 მუხლის ძალით განმეორებით ერთი საათის შემდეგ, იმავე დღეს და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს. 562 1—1

ქ. სიღნაღისთვის

საჭიროა ორი ხელოსანი

ქუჩების კუბიკებით მოსაკირწლავათ.

პირობების გაგება შეიძლება საქართველოს რესპ. ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებაში (პუშკინის ქ., № 3). 780 2—2

თელავის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს სამსახურში 5 აგრონომს, უმაღლესი სამეურნეო ცოდნით და ოთხ ინსტრუქტორს მევენახეობის, მეღვინეობის და მეხილეობის ცოდნით. ჯამაგირები აგრონომს—1500 მან., ინსტრუქტორს—1200 მ. თვეში. მიმოსვლა ერობის ხარჯზედ. 570 3—1

თელავის მაზრის საერობო გამგეობა

იწვევს საერობო სამსახურში

საექიმო ფერშლებს

ჯამაგირი თვიურად რვაასი მანეთი. მსურველთ შეუძლიანთ თხოვნა შემოიტანონ შემდეგის მისამართით: ქ. თელავი, ერობის გამგეობას. 581. 3—1

ოფიციალური ნაწილი

ბრძანებულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

23 აპრილი, 1919 წ.

№ 109.

დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან: თანამდებობის ასასრულებლად დროზე გამოუცხადებლობის გამო გაგრის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი სემენოვი 1919 წ. აპრილის 1-დან.

იუსტიციის მინისტრის ამხ.

ს. ჯაფარიძე.

კანცელარიის დირექტორის მაგ.

წითლანაძე.

30 აპრილი, 1919 წ.

№ 110.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: თანახმად თავისი თხოვნისა № 2 საპყრობილეს უფროსი კონსტანტინე ჯაფარიძე 1919 წ. მაისის 1-დან.

იუსტიციის მინისტრის ამხ.

ს. ჯაფარიძე.

კანცელარიის დირექტორი **გ. ჟორდანია**

—

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა.

26 აპრილი, 1919 წ.

№ 66.

დათხოვნილია: სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა, კანცელარიის მოხელე, ამსრულებელი ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის თანაშემწის თანამდებობისა ნიკოლოზ თევდორეს ძე ბახი 1919 წ. 22 აპრილიდან.

თავმჯდომარე სასამართლოსი

პ. კიზირია.

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

10 აპრილი, 1919 წ.

გამწესებულია: ყოფილი უმცროსი მექანიკოსის ვალდებულების აღმასრულებელი საველე მუშების კალონის № 74 ვასილი ორლოვი ხელახლად ზედამხედველათ მაღალ ჯამაგირით ტფისისის ტელეგრაფის კანტორაში 10 აპრილიდან 1919 წლიდან.

დანიშნულია: უმცროსი სადგურის მექანიკოსი უმაღლესი ჯამაგირისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა პავლე აზნაუროვი უფროსს სადგურის მექანიკოსათ იმავე კანტორაში 11 აპრილიდან 1919 წლიდან.

გადაყვანილი არიან: ფოსტალიონები ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების: ბანძის—ელენა დადიანი, წესის—გურია ყიფიანი, ჭიათურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის—რაჟდენ დევდორიანი, ტფილისის ფოსტის კანტორის—ექვთიმე კეკელია. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფასსანაურის—დროებით აღმასრულებელი მეექვსე ხარისხის მოხელის თანამდებობის ფარნაოზ ქავთაროვი, სოხუმის მეექვსე ხარისხის ალექსანდრე ვაშაკიძე, აბასთუმანის-მეოთხე ხარისხის ნიკოლოზ ფარცხალაძე, ბორჯომის-მეოთხე ხარისხის ნინა გვარამია, ქუთაისის—4 ხარ. მარია ჰუმბურიძე და ერვანდ ვართანოვი, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მე-4 ხარ. თამარა კეზელი. ზედამხედველები: ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების: სუფსის დაბალი ჯამაგირის კონსტანტინე ჯიხვაშვილი, ბაღდადის მაღალი ჯამაგირისა ვლადიმერ ყანჩაველი, ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მაღალი ჯამაგირასა დაშვებული დროებით აღმასრულებელი მე 3 ხარ. მოხელის თანამდებოპის ნიკოლოზ სამხარაძე იმავე წოდებებით; კეკელია ბანძაში, ჯიხვაშვილი ლაილაშში, ქავთაროვი ყაზბეგში; დადიანი, გვარამია და ყანჩაველი ქუთაისში, ყიფიანი ხონში, დევდორიანი სოხუმში, ვაშაკიძე ოჩემჩირში, ფარცხალაძე ფოთში, ვართანოვი ბორჯომში, ჰუმბურიძე და სამხარაძე ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, კეზელი ტფილისის ფოსტის კანტორაში. კეკელია 1 აპრილიდან. დადიანი, ყიფიანი, ქავთაროვი, ვაშაკიძე, გვარამია, ჰუმბურიძე, ვართანოვი, კეზელი, ჯიხვაშვილი, ყანჩაველი და სამხარაძე 11 აპრილიდან, დევდორიანი და ფარცხალაძე 15 აპრილიდან 1919 წლიდან, გვარამია, ჰუმბურიძე, ვართანოვი, ყანჩაველი, სამხარაძე თანახმად თხოვნისა. სამხარაძე მესამე ხარისხის მოხელის თანამდებობის ასრულებისაგან განთავისუფლებულია.

დათხოვნილი არიან სამსახურიდან: ფოსტალიონები ნაგომარის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დავით შავიშვილი, სოხუმის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორის ლეონტი ჩიტანავა, ოჩემჩირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-5 კლასის უფროსის თანაშემწე გეორგი კონსტანტინოვი, ჩიტანავა პირველ იანვრიდან, კონსტანტინოვი 16 მარტიდან, შავიშვილი 11 აპრილიდან 1919 წლიდან. ჩიტანავა და შავიშვილი თანახმად თხოვნისა.

გამორიცხულია სამსახურიდან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე მე-4 ხარისხის ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ოლღა კურც სიკვდილის გამო 5 თებერვლიდან 1919 წ.

ოლქის უფროსი **მგელაძე.**

არა ოფიციალური ნაწილი

იუსტიციის სამინისტროში

დახვრეტა

გუშინწინ დილის 4 საათზე თანახმად ტფილისის საგანგებო სასამართლოს განაჩე-

ნისა დახვრიტეს არსენ და პეტრე გაბეჩვილები თავზე დაცემისათვის.

გ. ჟორდანიას ავადმყოფობა.

იუსტიციის კანცელარიის დირექტორი გ. თ. ჟორდანია ავათ გახდა

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია

27 აპრილის სხდომა.*)

ბ. ტიგრანიანის სიტყვა.

მოქალაქენო, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელნო, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის მხრივ მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს მოგესალმოთ და თქვენი სახით, ეგვენი პეტრეს ძევ, მადლობა ვუძღვნა საქართველოს მთავრობას იმ ინიციატივისთვის, რომელიც თქვენ იკისრეთ ამ კონფერენციის მოსაწვევათ. ჩვენს მთავრობას, რომელმაც ჩვენ აქ გამოგვზავნა მნიშვნელობა და მიზანი ამ კონფერენციისა შემდეგნაირათ ესმის: სულ ამ მოკლე ხანში ამიერ-კავკასიის ერები ერთ სახელმწიფოებრივ ჭკალთის ქვეშ სცხოვრებდენ, მაგრამ თუ საქმეს ახლო დაუკვირდებით, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ერები არ განიცდიდენ შინაურ ერთეულ მთლიან კავშირს მაშინ. იყო გამეფებული მხოლოდ სახელმწიფოებრივი ბატონობა რუსეთის სახით, რომელიც საკუთრივ ბატონობდა და მართავდა ამიერ-კავკასიის ბედ-იღბალს და ამაში გამოიხატებოდა ამიერ-კავკასიის ერთა ერთობა. ამიტომ, როცა რუსეთი წავიდა და ამიერ-კავკასია დარჩა თავის ანაბარა, აღმოჩნდა, რომ ჩვენ ქვეყანაში ერთა შორის ესეთი ერთობა არ სუფევს. ამიერ-კავკასია დარჩა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იგი იმყოფებოდა რუსეთის მთავრობის მოსვლამდე ჩვენს ქვეყანაში, თუმცა შედარებით იმ დროსთან, ამიერ-კავკასიამ მეტი უნარი გამოიჩინა, რადგანაც მე-18 საუკუნეში ამიერ-კავკასია წარმოადგენდა მეტ აჭრელებულ სახეს და პოლიტიკურ ორგანიზაციათა სიუხვეს, ვიდრე დღეს. ამიერ-კავკასიის ერები თვითგამორკვეულნი არიან უკვე და დამდგარნი დამოუკიდებელ საკუთარ სახელმწიფოებრივ გზაზე. ამ მიმართულებით ასე გასინჯეთ ერთგვარი ევოლიუციაცკი მოხდა. რესპუბლიკები სათანადოთ განმტკიცდენ და იმ შეგნებით იწყეს არსებობა, რომ მათ აუცილებლივ უნდა განაგრძონ არსებობა საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ ამ პოზიციაზე მყოფ ამიერ კავკასიის ერები, ჩვენის აზრით, უკვე იჩენენ საკუთარ უნარით ლტოლვას შინაურ ერთიანობის, გარეშე ძალით კი არ მოხვეულს, არამედ დამყარებულს იმ შეგნებაზე, რომ საჭიროა ძალთა გაერთიანება საზოგადო კეთილდღეობისათვის. დამოუკიდებლობა და საკუთარიიობა სრულიათ არ წარმოადგენს ერთმანეთიდან განცალკევებას და იზოლიაციას. შეხმატკბილება დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობის კეთილდღეობისა სოლიდარულ თანამშრომლობის კეთილდღეობასთან, ერთმანეთის მხარის დაჭერა და მეგობრული განწყობილება—აი ის მიზანი, რომელსაც თვით ცხოვრება ჩვენ დღეს გვიკარნახებს და რომლის გადაწყვეტაც დღეს ამ კონფერენციის საგნათ უნდა გადაიქცეს. თუ ჩვენ კონფერენციას უწერია უნარიანათ განხორციელება მასზე დაკისრებულ ამ საგანთა და მიზანთა მცირე ნაწილისა მაინც, მაშინ ამიერ კავკასიის ერები და რესპუბლიკები იგემებენ ჩვენ ნაშრომის და საერთო შეთანხმების, რომლის განმტკიცებასაც ჩვენი მთელი ძალღონე უნდა შევსწიროთ, კეთილ ნაყოფის გემოს. სომხეთის მთავრობამ ჩვენ გამოგვგზავნა ამ კონფერენციაზე იმ იმედით, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელნი შეერთებულნი ბეჯითად შეუდგებიან მუშაობას ამ აღნიშნულ მიზანთა გადამკიდე, რომელთა განხორციელებაზედაც დამოკიდებულია ყველა მათი კეთილდღეობა, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიური.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მოგესალმოთ თქვენი სახით წარმომადგენელთ ამიერ კავკასიის რესპუბლიკებისა და გისურვოთ ჩვენი მუშაობის კეთილათ დაგვირგვინება ამიერ კავკასიის ერების საბედნიეროთ.

ბ-ნ ხან-ხოილის სიტყვა.

ნება მიბოძეთ ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობის სახელით ჩემი მილოცვის ხმაც შეუერთო ამ კონფერენციაზე ამიერ-კავკასიის ერთა წარმომადგენელთა ხმას. ადერბეიჯანის მთავრობა მტკიცეთ იდგა იმ თვალსაზრისზე, რომ მხოლოდ სოლიდარობას და შეერთებულ მოქმედებას ყოველ დღეს აქ მყოფ სახელმწიფოების ზოგიერთ ძირითად პრინციპიალურ საკითხებში, შეუძლიან ამ სახელმწიფოთა გარეშე მდგომარეობის განმტკიცება და სათანადო კანონიერების და წესწყობილების დამყარება შინაგან ცხოვრებაში. ამისათვის ადერბეიჯანის მთავრობა სულ მუდამ ხალისიანათ ეგებებოდა ყოველ ამნაირ ნაბიჯის გადადგ-

*) იხილეთ „საქართ. რესპ." № 92

მას. ვრაცხ რა, რომ ყველაზე სწორე გზა კავშირის დასამყარებლათ არის დამოუკიდებელი განხილვა სადაო საკითხებისა, მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი შეხვედრა, ამ საკითხების განხილვის დროს, მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ორივე მხარე დაივიწყებს წვრილ ინტერესებს და იმ სიმართლეს მისწვდება, საიდანაც საჭიროა განხილვა დიად საკითხებისა, რომელიც წამოყენებულია ამიერ კავკასიის ერთა წინაშე. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ ამ კონფერენციამ, რომელშიაც შედიან ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენელნი და მთიელთა კავშირის რესპუბლიკისაც, განმსჭვალულნი ერთი სურვილით მიგვიყვანოს შეთანხმების გზასთან, ყველა მთავარ და საჭირ-ბოროტო საკითხებში, ვინაიდან უამისოთ, შეუთანხმებლათ, ამიერ კავკასიის ერთა ცხოვრება არას დროს ნორმალურათ ვერ იწარმოებს. ჩვენ წარმომადგენლების კეთილ დღეობ დაჟინებით გვიბრძანებს, რომ ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ პირველათ იმ საკითხებს, რომლის გადაჭრაც უზრუნველ ჰყოფს მშვიდობიან ცხოვრებას და მუშაობას უხსოვარ დროის მეზობელ ერებისას. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებულნი, რომ ეს შეგნება ერთნაირათ გვაქვს წარმოდგენილი თვითეულს ჩვენგანს, კერძოთ კი ჩვენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელნი ჩამოველით ამ კონფერენციაზე განსამტკიცებლათ მეგობრულ დამოკიდებულებისა ამიერ-კავკასიის ერთა შორის იმ რწმენით, რომ ამ კონფერენციის შემდეგ ჩვენი დამოკიდებულებანი უფრო მახლობელი, უფრო გულითადი იქნება, ვიდრე დღეს აქამდე. ამ რწმენით ჩვენ მივესალმებით ყველა აქ შეკრებილთ წარმომადგენელთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ ერებისას და ვუსურვებთ გამარჯვებას პირველათ განზრახულ საქმეში—თავისუფალ ნების ყოფის გამოცხადებით: შექმნა მეგობრულ მტკიცე კავშირისა ერთმანეთში.

იუსტიციის სამინისტროსაგან

ქალაქების და საერობო თვითმართველობების გამგეობათა საყურადღებოთ.

იუსტიციის სამინისტროში მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ზოგ ადგილას ნაფიც მსაჯულთა საერთო სიების შედგენისათვის ფიქრობენ ადგილობრივ მოსახლეობის ხელახალ აღწერას და ამიტომ სიების შედგენისათვის მიცემულ ვადის გაგრძელებას თხოულობენ.

ეს შეუძლებელია, როგორც აღწერისათვის საჭირო ფულის უქონლობის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ თვით კანონში კატეგორიულათ არის ნათქვამი, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნდა იქნეს შემოღებული არა უგვიანეს ამ წლის 1 ივნისისა.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ საერობო და ქალაქების გამგეობებმა ნაფიც მსაჯულთა სიების შესადგენათ უნდა იხელმძღვანელონ დამფუძნებელ კრების ამრჩეველთა სიებით შემდეგი პირობების დაცვით.

1. ნაფიცი მსაჯული უნდა ამორჩეულ იქნეს ორივე სქესის იმ პირთაგან:

ა) ვინც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (ქვეშევრდომია);

ბ) იცის ქართული ენა და წერა-კითხვა რომელსამე ენაზე;

გ) ვინც წლოვანებით 25 წელზე ნაკლები არ არის;

დ) ვისაც ერთ წელიწადზე არა ნაკლები უცხოვრია ამ მაზრასა ან ქალაქში, სადაც ნაფიც მსაჯულთა არჩევანი სწარმოებს.

2. ნაფიც მსაჯულათ ყოფნა არ შეუძლიან

ა) ვინც დანაშაულობის გამო გამოძიებასა ან სამართალში არის მიცემული, ვისაც კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის სასამართლოს დადგენილებით საპატიმრო, ანუ უფრო სასტიკი სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი და ვინც სამართალში იყო მიცემული ასეთი სასჯელის ღირსი დანაშაულისათვის და სასამართლოს დადგენილებით უდანაშაულოდ ცნობილი არ არის.

ბ) ვინც სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვნილია;

გ) ვინც გაკოტრებულად არის გამოცხადებული;

დ) ვინც ფლანგველობისა გამო მზრუნველობის ქვეშ იმყოფება;

ე) ვინც ბრმა, ყრუ, მუნჯი და შეშლილია.

ვ) მღვდელ-მსახური და ბერ-მონაზონი;

ზ) სასამართლო დაწესებულებათა წევრი, ამ დაწესებულებათა კანცელარიის შტატის მოხელე და აგრეთვე სასამართლოს ბოქაული.

3) პროკურორი, მისი თანაშემწე და იმის კანცელარიის შტატის მოხელე;

თ) სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, აგრეთვე ფოსტის და ტელეგრაფის სადგურის უფროსი, თუ სათანადო თანაშემწე არა ჰყავთ;

ი) მაზრის, უბნის და სოფლის კომისარი და მისი თანაშემწე და

თ) საზოგადოდ მილიციის მოხელე.

ფოსტა-ტელეგრაფი

გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის ურთიერთობა ყარსის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან.

კორესპონდენცია მიიღება და გაიგზავნება სომხეთთან დადებულ ნიხრით და წესით.

ქართული ლატარია.

ქართული ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად საბჭოს დადგენილებისა წარსული წლის დეკემბრის 19-სა ლატარიის გათამაშება უნდა მომხდარიყო მიმდინარე წლის 1-ლ მაისს. გამგეობამ მაშინ გამოითხოვა სამი თვის ვადა, რათა შეძლება მისცემოდა, უფრო ხელსაყრელ პირობებში მოეხდინა ბილეთების გასაღება და გაეფართოვებინა თავისი მოქმედება პროვინციაში, უმთავრესად სოფლად.

მიუხედავად მრავალგვარ ზომებისა საქმე ეხლაც ვერ მოეწყო ფართოდ და სასურველად, რადგან ხელშემშლელი პირობები კვლავ გადაეღობა წინ გამგეობას. ამ სამი თვის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ისევ გახვეული იყო ომსა და ანარქიაში. ომი სომხეთთან და ჩრდილოეთში, აჯანყება და შემოსევა თათრებისა, მობილიზაცია, შემდეგ საარჩევნო კამპანია ერობისა, ქალაქისა და დამფუძნებელი კრებისათვის, ყველა ამან ხელი შეუშალა ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაპირებული სათანადო დახმარება აღმოეჩინათ გამგეობისთვის ბილეთების გავრცელების საქმეში, ამას ზედ დაერთო კიდევ მეტად ცუდი ზამთარი, რომლის გამო ვერ მოხერხდა სოფლად მუშაობა და ფართო მასსაში ბილეთების გატანა.

ამასთანავე, მას შემდეგ რაც ლატარიის საქმე გადაწყდა, ჩვენმა ქვეყანამ ბევრი გასაჭირი გამოიარა და ლატარიისათვის სათანადო ყურადღება შეუძლებელი გახდა. ამ ხნის განმავლობაში მოხერხდა მხოლოდ ერთ მილიონამდე ფულის შეგროვება, ნაცვლად განზრახულის ხუთის მილიონისა. საბჭოს შეეძლო, რასაკვირველია, დაპირებულ ვადაზე გაეთამაშებინა ლატარია, შეგროვილის თანხით ის გაისტუმრებდა მოგების ჯამს, მაგრამ ქართული უნივერსიტეტისა და თეატრისთვის დარჩებოდა სრულიად უმნიშვნელო თანხა და ამ რიგად დიდი მიზანი ლატარიისა შეუსრულებელი დარჩებოდა.

ყველა ეს გარემოება გაითვალისწინეს საბჭომა და გამგეობამ და შეერთებულ კრებაზედ ამა აპრილის 14-ს დადგენილ იქნა კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გადაიდოს ლატარიის გათამაშება ამა წლის 2 ნოემბრამდე, რის ნებართვა ეთხოვოს მთავრობას. გადადების ნებართვა უკვე მიღებულ იქნა სათანადო უწყებისაგან.

აცხადებს რა ამას, ლატარიის საბჭო სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ საზოგადოებაც გაიზიარებს მოყვანილს მოსაზრებათ და არა თუ უკმაყოფილოდ არ მიეგებება ლატარიის გადადებას, არამედ ხელს შეუწყობს საქმის გაფართოებას, რათა დიდი მიზანი კეთილად დაგვირგვინდეს.

ლატარიის გამგეობა თავის მხრივ სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ ის ადგილობრივი კომიტეტები და საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელნიც მუშაობდნენ ამ საქმისთვის, კვლავაც ენერგიულად განაგრძობენ საქმეს, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი თვით მოითხოვდა ლატარიის გათამაშების გადადებას, რათა უკეთეს პირობებში შესძლებოდათ მუშაობა და უფრო ნაყოფიერად და სასურველად მოეხერხებინათ ისეთი დიდი მიზნის ასრულება, როგორც არის ქართული უნივერსიტეტის და თეატრის დახმარება.

გიორგი მიხეილის ძე პავლოვი.

30 აპრილს სიცოცხლეს გამოასალმეს ძველი ჟურნალისტი გიორგი მიხეილის ძე პავლოვი. ულმობელმა ტყვიამ სიცოცხლეს მოსწყვიტა ადამიანი, რომელიც ჟურნალისტიკის დიდ სიმძიმეს მთელი 30 წლის განმავლობაში ეზიდებოდა. 1887 წლიდან იწყებს იგი დაუღალავ მუშაობას და მონაწილეობას ღებულობს ქართულ-რუსულ გაზეთებში. ერთ დროს ილია ჭავჭავაძის ორგანოშიც მუშაობდა. მუშაობდა ყოველთვის ერთგულათ და ასრულებდა თავის მოვალეობას პირნათლათ, სინიდისიერათ და ეს აღინიშნა 1912 წელში, როდესაც ამხანაგებმა მას 25 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეს. უკანასკნელ ხანაში იგი თანამშრომლობდა „კავკასკოე სლოვო"-ში და „საქ. რესპუბლიკაში", რომელშიც იგი ტფილისის მუნიციპალურ ცხოვრებას აშუქებდა. იგი იყო აგრეთვე ტფილისის ჟურნალისტების საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე და უკანასკნელ დღემდე ემსახურებოდა მას.

ბოროტმა უცნობმა ხელმა წარიტაცა მისი სიცოცხლე და მოაშორა იგი მის საყვარელ საქმეს.

დაუვიწყარი იქნება, კარგო ადამიანო, შენი ხსოვნა შენ ნაცნობ ამხანაგთა შორის.

მეგობარი.

ფოთი.

(საქ. დეპ. სააგ.)

ფოთი, მაისის 3. ფოთის ნავთსადგურს ამ უკანასკნელ დროს გამოცოცხლება დაეტყო. მოდიან სანდლები და გემები რუსეთიდან და ოსმალეთიდან. ნავთსადგურში სდგას ინგლისელების ტრანსპორტი, რომელიც მარგანეცით იტვირთება. შესდგა საგანგებო კომისია მაისის 26 დღესასწაულის მოსაწყობათ.

ჩამოვიდა რკინის გზის კომისია ნავთსადგურის პირობების გასაცნობათ და ტფილისში საუწყებათაშორისო თათბირზე მოხსენების გასაკეთებლათ. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ქალაქის წარმომადგენელიც. ქალაქი ენერგიულათ მოითხოვს ნავთსადგურის მის ხელში გადაცემას.

უცხოეთში

(საქ. დეპ. სააგ.).

მოსკოვი, მაის., 2. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი

ლიონი, მაისის 1. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა ყოველგვარი დემონსტრაცია პარიზის ქუჩებზე, პროლეტარიატის ერთსულოვან გადაწყვეტილებით 1 მაისს გამოცხადდა 24 საათის გაფიცვა. მიწის ქვეშ მომქმედ რკინის გზაზე მოძრაობა შესწყდა, ქუჩებში მოძრაობა შეჩერებულია. რესტორანებში არავითარ საჭმელს არ იძლევიან, ყველა თეატრები და სავაჭრო სახლები დაკეტილია. ასი ათასი მუშა უქმათ სცდილობს „შეთანხმების" მოედანზე გასვლას, იქ დემონსტრაციების მოსაწყობათ.

ნაუენი, მაისის 1. საალყო წესები, რომელიც აპრილის 23 ჰამბურგში და ალტონში გამოცხადდა, გააუქმეს 30 აპრილიდან.

ლიონი მაისის 2. ამერიკის ბეჭდვითი ბიურო იუწყება: არასდროს პარიზი არ ყოფილა ასეთი უტყვი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში I მაისის ყუმბარების სროლას. პარიზმა იმ დღეს განიცადა ნამდვილი რევოლიუციონური სიხუმე. კავალერია მღეროდა ბულვარზე, ქვეითმა ჯარმა კი ქუჩები აავსო. ელისეის მინდვრებზე საველე სამზარეულო დადიოდა.

ლიონი, მაის 2. სოციალისტთა ბელადებს სურდათ, რომ მაისის I მოეწყოთ დიდი მშვიდობიანი დემონსტრაცია. ისინი აცხადებენ, რომ არავითარ შემთხვევაში მათ არ სურდათ რომ ქუჩებში შეტაკება მომხდარიყო. მსხვერპლი ბევრათ უფრო ნაკლები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა დად ჯარს არ გაიწვევდა. დღეს გამოცხადებული საალყო წესები უფრო ხელს შეუწყობს რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას. დღეს ქალაქში თან და თან წითელი დროშების რიცხვი იზრდება, ისმის რევოლიუციონური სიტყვები, დღევანდელი ამბები მოწმობს, რომ მასა უფრო რევოლიუციონურათაა განწყობილი, ვიდრე მათი ბელადები.

გერმანული პრესა.

ვერსალიდან ბერლინში მიღებული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ გერმანიის რწმუნებულები მშვიდობით ჩავიდნენ, გაგზავნილია აპრილის 25 დილის 11 საათზე, ბერლინში კი აპრილის 30 სათ. მიღებული.

მიუნქენის წინააღმდეგ მებრძოლ მთავრობის ჯარს არნდის (?) გარდა, გუშინ მიღებულ ცნობით, კიდევ სხვა რამოდენიმე პუნქტი დაუჭერია ისე, რომ მთავრობის ჯარს რკალი მიუნქენის გარშემო თანდათან ვიწროვდება. თვით მიუნქენში საბჭოთა პარლამენტში დიდი ცვლილებები მოხდა. გენ. ბოტმარი და მარიტიცი მძევლებათ დაუპატიმრებიათ. მიუნქენის კომუნისტებმა გაუნადგურებიათ პოლიციის დეპარტამენტის ყველა საბუთები და ქაღალდები. მცხოვრებნი მოუთმენლად მოელიან მთავრობის ჯარის დაბრუნებას.

მუსიკა

სასულიერო კონცერტის გამო.

საერთოდ, ჩვენი მუსიკა რამდენადაც შინაარსიანია და ბუნებრივად მდიდარია, იმდენად ღარიბია დამუშავებით. არავითარი წარმატება! დიდ სიღარიბეს განიცდის ჩვენი მუსიკალური ლიტერატურა.

ამ მხრივ სასულიერო მუსიკა მოკლებულია ყოველგვარ ესთეთიურ მხარეს და უმწვერვალეს გაჭირვებაშია ჩავარდნილი, რაც უნდა მლოცველი გამსჭვალული იყოს რელიგიურ გრძნობით, ეკლესიაში მას ეკარგება ყოველივე სულის სიფაქიზე ჩვენ დამახინჯებულ და დაძველებულ გალობით. თვით ცხოვრება დღითი-დღე მისწრაფის ახალ ფორმების შესაქმნელად. ჩვენ გარშემო კაცობრიობის წარმატებაა. ინგრევა ძველი ტრადიციები და მყარდება ახალი. დარჩა მხოლოდ ეკლესია, რომელიც ცხოვრების მოთხოვნილებას და მის სინამდვილეს ჩამორჩა.

ნუ თუ ეკლესია განაგრძობს ისევ იმ ძველ მამა-პაპურ გზას და რამდენიმე საუკუნეს განმავლობის ნამუშავარს არ შესძენს ახალს, თავის ღვაწლს? დრო არის ეკლესიამაც იზრუნოს თავის მემკვიდროების გაფართოებაზე და მიწაში არ ჩაფლას წარსული უმაღლესი კულტურა.

გალობა არის მშობელი ჩვენი საერო მუსიკისა. ეკლესიას დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენ ცხოვრებაზე და ძლიერ იშვიათად მოიპოვება რაიმე სიმღერა, რომ მას საეკლესიო გავლენის დაღი არ ეჩნეოდეს.

ფრიად საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია, რომ ქართული სამუსიკო საზოგადოება და საქველმოქმედო საზ-ბა აცხადებენ პირველ სასულიერო ახალ კონცერტს.

ჩვენ მეტ ყურადღებას მივაქცევთ იმას, თუ რამდენათ განახლებულია და დამუშავებულია სასულიერო მუსიკის ფორმა. ჩვენ ვხედავთ თუ ევროპამ ან იგივე ჩამორჩენილ რუსეთმა რამდენად გააცოცხლა საეკლესიო მუსიკა. ეკლესიაში დიდის მოწიწებით ისმენენ გალობას და ჰგრძნობ, რომ შენზე მოქმედობს რელიგიური, გრძნობით სავსე და პატიოსნებით მოსილი ამაყი მუსიკა. თვით მუსიკალური ფორმა და მისი შინაარსის გამაღლება, გავიწყებს ჩვეულებრივ მოუხეშავ ცხოვრების პირობებს და სულ ახალ წალკოტზე მიგვიწვევს დასასვენებლად.

ჰარმონია ჰქმნის სულის გამხნევებას და ჰკვებსვს ცხოვრების ენერგიას.

დიდის სურვილით ველით ახალ სასულიერო კონცერტს.

გურჯანელი.

ქუთაისი.

○ ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტში თავის წარმომადგენლად აირჩია შემდეგი პირები (ს.-დ.) მ. ვარდოსანიძის ასული, ა. კოსტავა. (ს.-ფ.) ტ. ართმელაძე და გ. გოკიელოვი (ნ.-დ.) ვ. პურადაშვილი და მოსეშვილი.

○ ქალაქის საბჭომ 28 აპრილის სხდომაზე მომრიგებელ კამერის თავმჯდომარეთ აირჩია თ. ჭუმბურიძე.

○ საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის ქუთაისის კომიტეტმა ტფილისში ამხ. რაფიელ ჩიხლაძის გარდაცვალების გამო შემდეგი დეპეშა გაგზავნა: რაფიელის მოულოდნელმა სიკვდილმა ქუთათურ ამხანაგებს თავზარი დაგვცა. დავკარგეთ მებრძოლი ამხანაგი, თავდადებული პარტიული მუშაკი და საუკეთესო სახალხო ტრიბუნალი. ამხანაგის ცხედრის წინაშე მუხლს ვიდრეკთ.

○ ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწის განკარგულებით სამი თივით დაატუსაღეს იაკობ შავრაძე და რომანოზ რევიი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და სხვ. ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის თანაშემწემ ს. გეგელაშვილმა შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა ბაღდათის რაიონის კომისარს: შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიამ დეპეშით მაცნო, რომ ახალციხის ფრონტიდან ზეკრის გზით ყოველ დღე იპარებიან დეზერტირები თოფებით და სახაზინო ნივთებით და თავისუფლად სცხოვრობენ თავიანთ სახლებში.

წინადადებას გაძლევთ, მიიღოთ სასტიკი ზომები მათ წინაამდეგ. დაპატიმრებული პირები წარმომიდგინეთ მე.

○ ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწე ატყობინებს ქუთაისის ქალაქის გამგეობას, რომ ჩემ მიერ შეკრებილ ცნობებით, სამთო უბნის კომისარის შესახებ ძლიერ ცუდი ხმები ტრიალებს და თანვე არაფერ უნარს არ იჩენს ბოროტების აღმოჩენაში და ამით ის სცემს პრესტიჟს მთავრობისას. ამიტომ გთხოვთ ხსენებული კომიხარი აუცილებლათ გადააყენოთ სამსახურიდან და შედეგი მაცნობოთ.

○ გაზ. „ერთობას“ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ცენტრალურმა საბჭომ „ქუთაისის მუშათა პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭო ღრმად დამწუხრებული სახელოვანი მებრძოლის, სახალხო ტრიბუნის, დამფუძნებელი კრების წევრის ამხანაგ რაფიელ ჩიხლაძის უდროვოდ გარდაცვალებით, უერთდება საქართველოს დემოკრატიის საერთო გლოვას“. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ტუსკია.

○ ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწე ატყობინებს ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას: ვინაიდგან ცუდი ხმები დადის ქუთაისის რაიონის კომისარის გარშემო და ამასთანავე ის არ იჩენს უნარს ყოველივე ბოროტების აღმოჩენაში, გთხოვთ ხსენებული კომისარი გადააყენოთ სამსახურიდან და შედეგი მაცნობოთ.

○ ორშაბათს, 28 აპრილს, ხონიდან ქუთაისში მიმავალ დელეჟანს სოფ. გუბის მახლობლად, თავს დაესხენ ბოროტ-განზრახველები და წაიღეს 5000 მან. ავაზაკები მიიმალენ.

○ კვირას, 4 მაისს დილის 10 საათზე სოც.-დემოკ. პარტიის კლუბში დანიშნულია ქუთაისის მომხმარ. საზოგადოების „კოოპერაციის“ წევრთა წლიური კრება. განსახილველია საგნები: გამგეობის მოხსენება, სარევიზიო კომისიის მოხსენება, 1918 წლის ან გარიშების დამტკიცება, მოგების განაწილება, 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, წესდების განხილვა და მიღება, გამგეობის დამატებითი არჩევნები, სარევიზიო კომისიის არჩევნები და მიმდინარე კითხვები. რადგან პირველი კრება საკმაო წევრთა დაუსწრებლობის გამო არ შესდგა, ეს მეორეხელ მოწვეული კრება რამდენი წევრიც არ უნდა დასწროს ჩაითვლება კანონიერათ თანახმათ წესდებისა. ამიტომ გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს წევრებს, რადგან ფრიად მნიშვნელოვანი კითხვებია გასარჩევი, აუცილებლათ დაესწრონ.

○ ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებს, რომ 25 მაისს ფარცხანაყანევის საზოგადოების კომისარიატში დანიშნულია კრება იმ პირთა, ვინც სარგებლობდა ფარცხანაყანევის არხით მიწების მოსარწყავათ, ვინც არხის წყლის ძალით ამუშავებდა მანქანებს და ვინც სარგებლობდა ამ წყლით სასმელათ, რიონის წყლის ოლქის საბჭოს და მირაბის ასარჩევად.

ქრონიკა

○ საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება უკვე შეუდგა მიღებას გზათა სამინისტროს ყოფილ საავტომობილო ნაწილისას. საზოგადოების ტრანსპორტის ნაწილის გამგემ ინჟ. გ. ფიცხელაურმა უკვე მიიღო მთავარი სახელოსნოები, რამდენიმე საწყობები და ავტომობილების ერთი ნაწილი. ამ დღეებში განზრახულია ყაზბეგსა და კოჯორს შუა ფოსტის მოძრაობის დაწყება. აგრეთვე მოკლე ხანში მოწყობილ იქნება ფოსტის ზიდვა ქუთაისსა და ონს, ხონსა და ბაღდადს შუა. ბ. ფიცხელაური ამ ჟამათ იკვლევს ყველა გზებს რომელზედაც ფოსტის მოძრაობა იქნება დაწყებული.

○ 27 აპრილს აბას-აბადის ქუჩაზე № 1 მცხოვრებ ოლღა ხანგულოვის ბინაზე შეიჭრენ უცნობი ბოროტგამზრახველნი და სიკვდილის მუქარით წაართვეს 3600 მან. ნიკოლოზის ფულათ და 400 ათას მანეთის ძვირფასი ნივთები. ხანგულოვისამ ეჭვი მიიტანა თავის ქალის ამხანაგ გაიანეს გიმნაზიის მოწაფე ასტხიკ ოგანესიანცზე, რომელიც 2 კვირა იყო მათთან სტუმრათ. მილიციამ შეიპყრო ოგანესიანცი, რომელიც გამოტყდა ქურდობაში და განაცხადა, რომ ნივთები შენახული აქვს, ფული კი გადასცა სერგ. შაინოვსა და ვ. ნაზარიანცს. ეს პირნიც შეიპყრა მილიციამ. იგინიც გამოტყდნენ. ფული პატრონს ჩააბარეს.

○ 30 აპრილს ღამის 2 საათზე ბეგლიაროვის ქუჩაზე № 18 მცხოვრებ მამედ იბრაგიმ ოღლის ბინაზე შეიჭრენ უცნობი ბოროტმოქმედნი და მუქარით 21 ათასი მანეთი წაართვეს. მილიციამ შეიპყრა ორი ბოროტმოქმედნი, რომელნიც აღმოჩნდენ შ. არარატოვი და ს. ყარაჯიანცი.

○ ორშაბათს 5 მაისს 1919 წ. სახ. სახლ. არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას მოკარნახე მიხ. თუშმალიშვილის 25 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად. წარმოდგენილი იქნება „ნამუსისათვის“ დრ. 4 მოქ. შირვანზადესი. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

○ საქართველოს დამფუძნებელ კრების სოც.-რევ. ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა პრეზიდიუმში ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ადეიშვილის ოკრიბის მხარეში (ქუთაისის მაზრა) მოქმედების შესახებ. შეკითხვა გაირჩევა დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე.

○ 30 აპრილს ღამის $10^1/_2$ საათზე გიმნაზიის ქუჩაზე მიდიოდა ჟურნალისტი გიორგი მიხეილის ძე პავლოვი და როცა ამ ქუჩაზე მდებარე ყაზარმებს დაუახლოვდა უცბათ გავარდა თოფი, მოხვდა პავლოვს გულში და იქვე სული დალია. მკვლელები არ აღმოუჩენიათ, გამოძიება სწარმოებს.

○ ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლათ საქართველოს მთავრობასთან დაინიშნა ინჟინერი ვექილოვი.

○ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ადეიშვილის მოქმედება ყაჩაღის მორჩაძეს დაჭერის დროს გამოიძია ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწემ გეგელაშვილმა და გამოირკვა ადეიშვილის და მისი რაზმის ბევრი უკანონო მოქმედება, რის გამო ინსპექტორის თანაშემწემ დაატუსაღა: გალაკტიონ ასათიანი, ლევან აფაქიძე, კოტე ქელბაქიანი, იოსებ მესხი, ერმალო ჩუბინიძე და ნიკო უგრეხელიძე, რომლებსაც ბრალდებათ ხალხის გალახვა და ქრთამის აღება, თანვე გაიცა განკარგულებათ, რომ იქნან დატყვევებულნი მილიციონერები ჩხობაძე, ჯულუხაძე და სტუდენტი ერისტო ჟორჟოლაძე, რომლებსაც იგივე ბრალდება, რაც დაპატიმრებულ პირებს; მილიციის უფროსი ადეიშვილი კი იქმნა გადაყენებული სამსახურიდან. ამის შესახებ ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწემ გეგელაშვილმა ვრცელი მოხსენება და საგამოძიებლო ოქმი წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს.

○ კვირას, 11 მაისს, დღის 12 საათზე ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა მორიგი კრება. განსახილველი საგნები: საზ. მთავარი გამგეობის 1918 წ. მოქმედების ანგარიში. გამგეობის მოხსენება აკაკი წერეთლის ნაანდერძევი უძრავი ქონების მიღების შესახებ. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ.

პროვინცია

○ 10 აპრილს გურნის საზოგადოებაში სოფ. ძმუისში ბოროტ-გამზრახველები თავს დაესხენ კოსტა ივანეს ძე ბეჩკენაძეს. ერთს მათგანს პირი ახვეული ჰქონდა და ხელში ეჭირა ვინტოვკა, მეორეს რევოლვერი და ხანჯალი. ფულის მოთხოვის შემდეგ ერთმა ავაზაკთაგანმა გაისროლა ვინტოვკა, ტყვია მოხვდა კოსტა ბეჩკენაძის შვილს მარჯვენა ხელში, ავაზაკებმა წაიღეს 1000 მ. და წინადადება მისცეს კიდევ დაახვედრონ 9000 მან. ბოროტ-გამზრახველები მიიმალნენ.

○ ხონის რაიონის კომისარი დეპეშით ატყობინებს ქუთაისის მაზრის კომისარს, რომ ქუთაისისკენ გამოგზავნილი დაპატიმრებული ყაჩაღები კვერნაძე და წეწერია მილიციონერებმა მოჰკლეს, რადგან გზაში მათ გაქცევა დაუპირებიათ.

○ ტყიბულის რაიონის კომისარი ატყობინებს მაზრის კომისარს, რომ ტყიბულის რაიონში გავრცელებულია პარტახტიანი ტიფი და მუცლის ავათმყოფობა.

○ ფოთის მილიციის უფროსი ატყობინებს ადმინისტრატიულ ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს: 18 აპრილს ქ. ფოთში დავატყვევეთ ზუგდიდის მაზრის ცნობილი ყაჩაღები გუჯუ აბრამია და აბრამ სასანია.

○ ზუგდიდის მაზრის კომისარი ატყობინებს ადმინისტრატიულ ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს, რომ მილიციამ დაატუსაღა ცნობილი ყაჩაღი ლევან ჩავა.

○ ტყვიბულის რაიონის კომისარი ატყობინებს მაზრის კომისარს, რომ 17 აპრილს სოფ. ცუცხვათის მცხოვრებმა მეხეილ მესხორაძის ქვრივმა, ანუ იამ (იგივე ანნამ) თავი ჩამოიხრჩო ბაწრით ხეზე. თვით-მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

○ ხონის რაიონის კომისარი ატყობინებს მაზრის კომისარს, რომ ძლიერ აიწია სურსათის ფასმა.

წესდება
საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებისა.

§ 15.

საზოგადოება პასუხისმგებელია მოვალეთა წინაშე თავისი უძრავ-მოძრავ ქონებით და თანხით; ამისათვის საზოგადოების წევრნი პასუხს აგებენ მხოლოდ აღებულ აქციების ნაცვლად შეტანილ ფულით.

§ 16.

საზოგადოებას აქვს საკუთარი ბეჭედი ზედწარწერით „საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება“.

§ 17.

საზოგადოების ძირითადი თანხას პირველხანად შეადგენს 12.000.000 (თორმეტი მილიონი) მანეთი, დაყოფილი 40.000 აქციად, თითო აქციის 300 მანეთის ღირებულებით.

§ 18.

ყველა აქციები, გარდა იმ რიცხვისა, რომელიც გაცემული იქნება შეძენილ ქონებაში (§ 3), განაწილდება დამფუძნებელთა და მათ მიერ მოწვეულ გარეშე პირთა შორის.

§ 19.

დამფუძნებელთა და გარეშე პირთა შორის განაწილებულ აქციების ფასში შემოტანილ უნდა იქნეს წესდების გამოქვეყნებიდან ორი თვის განმავლობაში არა ნაკლებ ერთი მილიონ მანეთისა, საზოგადოების მიმდინარე ანგარიშზედ ბანკში. მიღებული ფული ჩაიწერება დავთრებში და შემომტანს მიეცემა დროებითი მოწმობა, რომელზედაც აღნიშნული იქნება დარჩენილი შესატანი ფულის რაოდენობაც. ბანკის მოწმობა საზოგადოების სახელზედ ფულის შეტანის შესახებ და აგრეთვე ის მოწმობა, თუ რამდენი აქციებია გაცემული შეძენილ ქონების საფასურში, წარედგინება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს და ამ დღიდან საზოგადოება იწყებს თავის მოქმედებას; წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება არ შესდგება და შემოტანილი აქციების ფული უბრუნდებათ კუთვნილებისამებრ. დრო და რაოდენობა დანარჩენი შესატანი ფულისა აღინიშნება დამფუძნებელთა საზოგადო კრების დადგენილებით, ხოლო აქციების სრული ღირებულება უნდა შეტანილ იქნეს არა უგვიანეს ორი წლისა დღიდან საზოგადოების მიერ მოქმედების დაწყებისა. აქციის ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდისათვის ვადის დანიშვნა უნდა გამოცხადდეს ორი კვირით ადრე ვადის დაწყობამდე. აქციის ღირებულების თვითეულ ნაწილის შემოტანა უნდა ინიშნებოდეს დროებით მოწმობებზე, ხოლო როცა მოთავდება მთლად ფულის შეტანა, დროებით მოწმობის მაგიერ აქციონერს ეძლევა თვით აქცია.

შენიშვნა: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს შეუძლიან ნება დართოს დამფუძნებელთ მოიწვიოს პირველი საზოგადო კრება აქციონერებისა მეცხრამეტე (§ 19) მუხლში აღნიშნულ პირობების ასრულებამდეც.

§ 20.

თუ დროებითი მოწმობის პატრონმა ვადაზედ არ შემოიტანა ხვედრი გადასახადი, მაშინ მას ეძლევა კიდევ ერთი თვე და იგი იხდის საზოგადოების სასარგებლოდ ერთ პროცენტს სარგებელს თვეში. უკეთუ ამის შემდეგაც არ იქნა შემოტანილი თანხა, მაშინ ეს მოწმობები გაბათილებულად ითვლება, რაც ყველას საყურადღებოთ უნდა იქნეს გამოცხადებული. გაბათილებულ მოწმობებს გამგეობა სცვლის იმავე ნომრებით ახალი დროებითი მოწმობებზე, რომლებსაც ჰყიდის სხვებზედ. აღებულ ფულიდან საზოგადოება იტოვებს თანხას ყოველივე ხარჯების (განცხადების, გაყიდვის და სხვ.) დასაფარავად, ხოლო დანარჩენი დაუბრუნდება გაბათილებულ მოწმობის პატრონს.

§ 21.

საზოგადოების დაარსება ან მისი დაშლა უნდა ეუწყოს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს და გამოცხადდეს ყველას საყურადღებოთ: პირველ შემთხვევაში გამგეობის მიერ, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში დამფუძნებელთა მიერ.

§ 22.

პირველად გამოცემულ აქციების განაღდების შემდეგ საზოგადოებას შეუძლიან ძირითადი თანხა გაადიდოს ახალი აქციების გამოცემით, რომელთა ძირითადი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 300 მანეთს. დამატებითი აქციების გამოცემა შეიძლება კრების დადგენილებით და მთავრობის ნებართვით.

შენიშვნა: ახალ გამოცემულ აქციების მყიდველებმა თითო აქციაზედ, გარდა ზემოდ აღნიშნულ ღირებულებისა, უნდა შეიტანონ ზედმეტი პრემია, რომელიც უკანასკნელ წლის ბალანსის მიხედვით პირველად გამოცემულ თითო აქციას შეხვდა და რომელიც გადაიდება სათადარიგო თანხას გასადიდებლად.

§ 23.

ახალ გამოცემულ აქციების შეძენის უპირატესობა ეძლევა პირველად გამოცემულ აქციების პატრონთ. დარჩენილი აქციები საზოგადო კრების დადგენილებით შეიძლება გაიყიდოს გარეშე პირებზე.

§ 24.

საზოგადოების აქციები უნდა იქნეს სახელდებული. ყოველი აქცია უნდა იყოს ამოჭრილი წიგნიდან, სადაც რჩება ტალონი და მიეცეს პატრონს საზოგადოების ბეჭედ დაკრული, დანომრილი და ხელმოწერილი გამგეობის ორი წევრისა, ბუჰჰალტერისა და ხაზინადრის მიერ.

შენიშვნა. დროებითი სააქციო კვიტანციები უნდა იყოს ყველა სახელდებული.

§ 25.

აქციასთან ერთად აქციის პატრონს მი-

ცემა კუპონების ფურცელი დივიდენდის მისაღებათ ათი წლის განმავლობაში. კუპონებზე აღნიშნული იქნება აქციების ნომრები, რომლებსაც კუპონები ეკუთვნის და წლები რიგრიგობით. ათი წლის შემდეგ აქციონერებს მიეცემათ ახალი კუპონის ფურცელი.

§ 26.

გადაცემა საზოგადოების სახელდებული აქციებისა ან დროებითი მოწმობებისა უნდა ეცნობოს საზოგადოების გამგეობას, რომელსაც უნდა წარედგინოს თვით აქციები და მოწმობები საზოგადოების დავთრებში აღსანიშნავად.

§ 27.

დროებითი მოწმობების გადაცემა ერთიდან მეორეს ხელში, თუ მასზედ აღნიშნული არ არის, რომ შემოსატანი ფული ვადაზედ გადახდილია, ჩაითვლება უკანონოთ. ეს პირობა აღნიშნულ უნდა იქნეს თვით მოწმობებზე.

§ 28.

კუპონების გადაცემა უაქციოთ არ შეიძლება. შეიძლება გადაცემა მხოლოდ იმ კუპონებისა, რომლებსაც ან ვადა აქვს გასული, ან მიმდინარე ვადის არიან. კუპონების გადასაცემათ საჭირო არ არის ზედ-წარწერა ან ამისთვის განცხადების შეტანა გამგეობაში.

§ 29.

დროებითი მოწმობების ან აქციების დამკარგველმა საზოგადოების გამგეობაში ამის შესახებ წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს და წარუდგინოს ნომრები დაკარგული მოწმობებისა, აქციებისა ან კუპონებისა. გამგეობა დამკარგველის ხარჯით ამას გამოაცხადებს. თუ ექვსი თვის განმავლობაში დღიდან განცხადებისა არავითარი ცნობა არ იქნა მიღებული დაკარგულ მოწმობების, აქციების ან კუპონების შესახებ, პატრონს მიეცემა ახალი დროებითი მოწმობები, აქციები და კუპონები იმავე ნომრებით და წარწერით, რომ უკანასკნელი მიცემულია დაკარგულის მაგივრად. საზოგადოების გამგეობა არავითარ განცხადებას არ იღებს იმ დაკარგულ კუპონების შესახებ, რომელთა ვადა უკვე გასულია ან მიმდინარე წელს ეკუთვნიან. დამკარგველს ესპობა უფლება მიიღოს ამ კუპონების დივიდენდი.

§ 30.

აქციისა ანუ დროებითი მოწმობის პატრონის გარდაცვლის შემდეგ მისი უფლებანი გადადის მემკვიდრეზე თანახმად კანონისა ანუ ანდერძისა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთი აქცია განაწილდეს.

საზოგადოების ვალდებულებანი მთავრობის წინაშე.

§ 31.

საზოგადოება ვალდებულია, თუ მთავრობამ მოითხოვა, იკისროს ფოსტის გადაზიდვა ყველა იმ გზებზე, სადაც ივლიან საზოგადოების ავტომობილები, და აიღოს ფოსტის გადასაზიდი ფასი ხალხისა, ბარგისა და საქონლის გადასაზიდათ არსებულ ტარიფის მიხედვით და ფოსტის უწყებასთან შეთანხმებით.

შენიშვნა: დაცვა ფოსტისა მთავრობის ვალია.

მმართველობის კონტროლი.

§ 32.

მთავრობას უფლება აქვს დანიშნოს კონტროლი საზოგადოების საქმეებისათვის თვალყურის სადევნებლათ. კონტროლიორს შეუძლია დაესწროს საზოგადოების გამგეობის სხდომებს სათათბირო ხმით.

§ 33.

კონტროლიორის ჯამაგირი შეიტანება საზოგადოების ხარჯთ აღრიცხვაში.

§ 34.

სახელმწიფო კონტროლს უფლება აქვს მოსთხოვოს საზოგადოების გამგეობას ყოველგვარი ცნობები. კონტროლს წარედგინება ყოვეწლიური ანგარიში წინასწარ გასაცნობად.

გამგეობა საზოგადოებისა, მისი უფლება და მოვალეობა.

§ 35.

საზოგადოების გამგეობა შესდგება ექვსი წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ სამი წლით: ნახევარს საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ აქციების წარმომადგენლები, და ნახევარს დანარჩენები; თუ საზოგადოებამ გაადიდა გამგეობის წევრთა რიცხვი, ეს პარიტეტული უფლება აქციის პატრონთა დაცული უნდა იქნეს. გამგეობის წევრნი ირჩევენ თავიანთ წრიდან გამგეობის თავმჯდომარეს და ურდგენენ მთავრობას დასამტკიცებლად. თუ მთავრობამ ორჯერ არ დაამტკიცა გამგეობის მიერ არჩეული კანდიდატი, ამ შემთხვევაში თვით მთავრობა ნიშნავს თავმჯდომარეს გამგეობის წევრთა რიცხვიდან. გამგეობა იმყოფება ტფილისში.

განცხადებები

1918 წელს ნოემბრის 16, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მარიამ მიხეილის ასულმა მეშჩერიაკოვამ 35,000 მან. მიჰყიდა სოფიო ალექსანდრეს ასულს კოჩინევას მიწის ნაჭერი, ზომით 155,55 ოთხ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის მე-12 უბ. გორის შესახ. და ტრამვაის ქუჩის კუთხეში ქალაქის № 251. გადახდილია სააქტო 3 მან., განცხადების 1 მან. 50 კაპ. გადასაწერი 1 მან. 20 კაპ. სიმტკიცის 1,400 მან. მთავარი ამონაწერი 175 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 218 1—1

ვასილი კინტირიას ძე ჰანტურია ამით აცხადებს, რომ მან დააჰკარგა სავალო მოწმობა (Долговое удостовѣреніе) 3652 მ. 20 კ. მოცემული თავრიზის რკინის გზის საზოგადოების გამგეობიდან. გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 565 3—3

ეკატერინე მიხეილის ასული სუმბათაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერისგან. პასპორტი გაუქმებულად ითვლება. 569 3—1

ქუთაისის მაზრის კომისარიატი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 27, ხონის რაიონის კომისარს დაეკარგა სათანადო ბეჭედი, რომელზედაც იყო წარწერილი, „ხონის რაიონის კომისარი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. კომისარიატი სთხოვს მპოვნელს წარმოადგინოს იგი კომისარიატში. 770 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველი სამოქალაქო განყოფილება 1914 წ. 2 ივნისის კანონის მე-301 და 309[1] მუხ. თანახმად აცხადებს, რომ სერგი მიხეილის ძე პრუტჩენკო, რომლის საცხოვრებელი ადგილი სასამართლომ არ იცის, ვალდებულია ტროფიმ იოსების ძე პერშინის ჩივილის გამო 19513 მ. ხელშეკრულებით, განაცხადოს ამ სასამართლოს კანცელარიაში ოთხი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭვდიდან გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მისი საცხოვრებელი ადგილი ტფილისში, ან ისეთი პირის, რომელსაც ის მიანდობს სასამართლოდან მოსულ ქაღალდების მიღებას. საჩივრის თხოვნასთან წარმოდგენილია მოპასუხესთვის თხოვნისა და დამატების ასლი. თუ მოპასუხე არ განაცხადებს მის საცხოვრებელ ადგილს ტფილისში, დანიშნული იქნება სხდომა და დადგენილ იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება. 154 1—1

1918 წელს ნოემბრის 18 ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მაგდალინა აბრამის ასულმა მირაშნიკოვამ 2,500 მან. მიჰყიდა ანნა ვასილის ასულს სავალსკაიას მიწის ნაჭერი, ზომით 16 ოთხკ. საჟენი, მდებარე ქ. ტფილისის მეორე უბ., რაკეტის შესახვევში, ქალ. № 251. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მან. 50 კაპ., გადასაწერი 60 კაპ., სიმტკიცის ასი მან. მთავარი ამონაწერი 12 მან. 50 კაპ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 219 1—1

დავკარგე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი - მატრიკული № 233 სტუდენტ სამსონ საბას ძე ჯობავამ, რომელიც გაუქმებულია. 563 3—1

ოზურგეთის სამოსამართლო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ თანახმათ ამა წლის აპრილის 2-ს დადგენილებისა, ვექილობა, მიცემული პარასკევა, იგივე ფუცუ დიმიტრის ასულ მგელაძის მიერ არსენ ნიკოლოზის ძე მგელაძეზე და დამტკიცებული ოზურგეთის ნოტარიუს ჩიჩუას მიერ 1919 წ. თებერვლის 19-ს, № 30, გაუქმებულია ამა წლის აპრილის 4-ს. 680 1—1

1918 წ. ნოემბრის 16-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იასონ, ილარიონ, ნინო, გიორგი, ნიკოლოზ ვასილის ძეთ გაბაშვილებმა, ოლღა საჩინოს ასულმა გაბაშვილმა და დარია ვასილის ასულმა ყიფშიძემ 1.860 მ. მიჰყიდეს ვასილ ზაქარიას ძე ბეჟიტაშვილს მიწის ნაჭერი, ზომით 93 ოთ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბ., ქალ. № 50. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 74 მ. 40 კ. მთავარი ამონაწერი 9 მ 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 220 1—1

1918 წ. ოქტომბრის 31-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ზებო ელოს ძე კრიხელმა 3.500 მან. მიჰყიდა ხანუკ ელიას ოღლის მიწის ნაჭერი, ზომით 21 ოთხკ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის მე-4 უბ. მე-9 უსპენსკი ბანდში, ქალაქ. № 748. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 140 მ. მთავარი ამონაწერი 17 მ. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 204 1—1

გიორგი გრიგორის ძე მურალაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 560 3-1

1918 წ. ოქტომბრის 30-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე გიორგის ძე ტერტეროვმა 25.000 მან. მიჰყიდა ლუბა ალექსის ასულს მხეიძეს მიწის ნაჭერი, ზომით 82 ოთ. საჟ., მდებარე ქალ. ტფილისის მე 3 უბ., პროსიოლოჩნი შესახვევი, ქალაქ. № 578. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 1.000 მ. მთავარი ამონაწერი 125 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 203 1—1

რაგიმ ისმაილის ძე ალიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1902 წ. ოქტომბრის 25-ს, რეესტრი № 1883 და სიმტკიცის მოწმობა, აღნიშნული ტფ. ოლქის სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1918 წ. ივნისის 12-ს, რეესტრი № 932 უძრავ ქონებაზე. 568 3—1

დაკარგული პასპორტი ვერა გრიგოლის ასულ გურგენიძეს სახელობაზე 1768 ნომერისა გთხოვთ გაუქმებულათ ჩასთვალოთ.

დაკარგულია სახლის დავთარი, ადამი... სახლის, ტროიცკის ქ., № 2 და 5 წლ. პასპორტი, მიღებული მეშჩანთა სამმართველოდან ი. ნ. ჩემბერჯის სახელზე. დავთარი და პასპორტი გაუქმებულათ ითვლება.
552 3—3

ზაქარია ივანეს ძე კვირიკაძე აცხადებს, რომ ვექილობა, მიცემული მისდამი მის ცოლზე თამარ კვირიკაძეზე და დამტკიცებული ტფილისის ნოტარიუს სტრახოვთან 1919 მარტის 26, რეესტრი № 1989—გაუქმებულია. 549 3—...

სტეფანე ნიკოლოზის ძე ტერ-სტეფანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მე-2 ხარისხის ვოლნოოპრედ. მოწმობა, მიღებული ტფილისის მეხუთე ვაჟთა გიმნაზიიდან 1916 წ. მარტის 19-ს № 31. 550 3—...

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი № 9.

„საქართველოს ეკონომისტი

აუქციონი

ტფილისის ქალაქის ლომბარდი საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, მაისის 4, ... ლის ათ საათზე ლომბარდის ბინაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვადა გასულ გირაოებზე, რომლებიც შეიცავს ძვირფას ლითონს და ქვებს, ლითონის საგნებს, საკერავ მანქანებს, ხალიჩებს, ტყავეულობას, ტანისამოსს და ყოველგვარ უძრავ ქონებას.

№№ ძვირფას გირაოებისა.

71734, 93137, 93909, 98094, 100... 100298, 109197, 110013 110901, 12189...

№№ ლითონის და სხვა გირაოებისა

11502, 11053, 11639, 13730, 13747, 14... 16745, 16961. 566 ...

ავტომობილების რეგისტრაციის კომისია

ამით აცნობებს კერძო ავტომობილების მეპატრონეთ, რომ ვალდებულნი არიან იგინი 6-ს მაისის 2 საათამდე წარმოუდგინონ ამ კომისიას განცხადებანი, რომლებშიც ნაჩვენები უნდა იყოს: მანქანის ნომერი, ფირმა და თავის ბინა. ამ ვადის შემდეგ ავტომობილების პატრონები ჰკარგავენ ყოველივე უფლებას ავტომობილებზე და ავტომობილი გადადის საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად. აგრეთვე ვაუწყებთ მათ, ვინც შემოიტანა დოკუმენტები უკან წაიღონ იგი და სამაგიეროთ წარმოადგინონ განცხადებანი, რომლის ბლანკები შეუძლიათ შეიძინონ: პლეხანოვის პროსპექტი № 50.

სარეგისტრაციო კომისია.

797 2—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მართველობა

ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ ქვემოთ აღნიშნული ბაგაჟი გაუტანელი გაიყიდება ტფილისის ცენტრალ საწყობში 24 მაისს 1919 წ. დილის 10 საათზე, გაუყიდავი საქონლისა ხელმეორეთ დაინიშნება გასასყიდალათ 27 მაისს 1919 წ.

ტფილისი. აბაშიდან რიგის № 84 სატვირთო ბარათის № 29866—2 ფ. 20 გირ.; ...ნიდან რიგ. № 85 სატ. ბარ. № 51095—2 ფ. 2 გირ.; ნატანებიდან რიგ. № 65 სატ. ... № 21114—38 ფ. 10 გ; მოსკოვიდან რიგ. № 501 სატ. ბარ. № 16834—12 ფ. 12 გ.; ...რილიდან რიგ. № 533 სატ. ბარ. № 47332—32 გ.; თელავიდან რიგ. № 540 სატ. ბარ. № 2... 10 ფ. 10 გ.; ბათუმიდან რიგ. № 528 სატ. ბარ. № 9963—1 ფ. 37 გ.; როსტოვიდან რიგ. ... სატ. ბარ. № 83884—3 ფ.; როსტოვიდან რიგ. № 589 სატ. ბარ. № 83882—2 ფ. ... კიზლიარიდან რიგ. № 587 სატ. ბარ. № 520—9 ფ. 20 გ.; თელავიდან რიგ. № 530 ... ბარ. № 4227—10 გ.; მოსკოვიდან რიგ. № 502 სატ. ბარ. № 17892—30 ფ. 10 გ.; ... დან რიგ. № 579 სატ. ბარ. № 4531—1 ფ. 26 გ.; ქუთაისიდან რიგ. № 802 სატ. № 59989—2 ფ. 30 გ.; ფოთიდან რიგ. № 804 სატ. ბარ. № 86512—8ფ. 20 გ.; ქუთაი... რიგ. № 816 სატ. ბარ. № 60313—12 ფ. 2 გ., როსტოვიდან რგ. № 86 სატ. ბარგ. № ... —2 ფუთი 20 გირვანქა; ალექსანდროპოლიდან რიგ. № 101 სატ. ბარ. № 65796—7 ... პეტროვსკიდან რიგ. № 230 სატ. ბარ. № 1601 1 ფუთი 19 გირვანქა; გამოურკ... რიგ. № 226 სატ. ბარ. № 5053—2 ფუთი 36 გირვანქა; ტფილისიდან რიგ. № ... სატ. ბარ. 1 ფ. 25 გირ., კისლოვოდსკიდან რიგ. № 936 სატ. ბარ. № 948-4 ფ., ნავთლუღ... № 349 სატ. ბარ. № 111467—22 ფუთი; ბათუმიდან რიგ. № 343 სატ. ბარ. № 682... ფუთი 10 გირვანქა; ქუთაისიდან რიგ. № 615 სატ. ბარ. № 59052—30 გ; ქუთაისი... № 605 სატ. ბარ. 59424—1 ფ. 30 გ.; ფოთიდან რიგ. 656 სატ. ბარ. 69969—30გ.; გამოურ... ლი რიგ. 658 სატ. ბარ. 8657—51 ფ. 14 გ.; ნოვოსენაკიდან რიგ. 575 სატ. ბარ. 28... 22 გ.; კიევიდან რიგ. 666 სატ. ბარ. 139—?; ადესიდან რიგ. 659 სატ. ბარ. 4845—... პოლოგიდან რიგ. 671 სატ. ბარ. 6191—1 ფ. 35 გ.; ეკატერინოდარიდან რიგ. 65... ბარ. 49542—30 გ.; იურიევიდან რიგ. 692 სატ. ბარ. 7754—3 ფ. 24 გ.; რიონიდან... 620 სატ. ბარ. 182672—32 გირვ.; საჯავახოდან რიგ. 626 სატ. ბარ. 19216—3 ... 22 გირ.: ქუთაისიდან რიგ. 624 სატ. ბარ. 59339—2 ფუთი 30 გირ.; ერევნიდან რი... სატ. ბარ. № 52556—27 გ.; ძეგამიდან რიგ. № 748 სატ. ბარ. № 1176—6 ფ. პეტროგრადიდან რიგ. № 646 სატ. ბარ. № 20734—3 ფ. 31 გ.; ქუთაისიდან რიგ. ... სატ. ბარ. № 19364—7 ფ. 25 გ.; გორიდან რიგ. № 492 სატ. ბარ. № 48398—6 ფ. შახტახტიდან რიგ. № 1432 სატ. ბარ. № 52662—39 ფ. 20 გ.; ბათუმიდან რიგ. № ... სატ. ბარ. № 65708—38 გ.; ბაქოდან რიგ. № 1619 სატ, ბარ. № 228957—9 ფ. პეტროგრადიდან რიგ. № 1390 სატ. ბარ. № 37589—8 ფ. 12 გ.; გორიდან რიგ. ... სატ. ბარ. № 48397—12 ფ. 10 გ.; ალექსანდროპოლიდან რიგ. № 130 სატ. ბარ. № 2... —9 ფ. 23 გ.; ბჟორომიდან რიგ. № 784 სატ. ბარ. № 187746—2 ფ. 10 გ.; ნოვოსენ... რიგ. № 818 სატ. ბარ. № 28941—21 ფ.; კიშინოვიდან რიგ. № 1389 სატ. ბარ. № ... 7 ფ. 33 გ.;

აქტი ტფილისის სადგურისა—1 ფ. 10 გ.; აქტი ტფილისის სად.—10 ფ.; აქტი ტფ... სად.—3 ფ. 12 გ.; აქტი ტფილისის სად.—2 ფ.; აქტი ტფილისის სად.—10 გ.; აქტი ტფილ... 7 გ.; აქტი ტფილისის სად.—4 ფ. 10 გ.; აქტი ტფილისის სად. 35 გ.; აქტი ტფილ... 1 ფ. 2 გ., აქტი ტფილისის სად. 15 გ., აქტი ტფილისის სად. 12 გ., აქტი ტფილ... 11 ფ. 30 გ.; აქტი ტფილისის სად. 2 ფ. 15 გ.; აქტი ტფილისის სად. 12 გ.; აქტი ... სად. 11 ფ. 30 გ.; აქტი ტფილისის სად. 2 ფ.; აქტი ტფილ. სად. 18 ფ.; აქტი ... 1 ფ. 16 გ.; აქტი ტფილისის სად. 1 ფ. 12 გ.; აქტი ტფილისის სად. 15 გ., აქტი ... სის სად. 18 გ.; ტფილისის აქტი სად. 1 ფ.; აქტი ტფილისის სად. 20 გ.; აქტი ტფ... 33 გ., აქტი ტფილისის სად. 36 გ., აქტი ტფილისის სად. 1 ფ. 16 გ., აქტი ... სად. 35 გ., აქტი ტფილისის სად. 2 ფ. 32 გ., აქტი ტფილისის სად. 30 ფ. 29 გ., მოს... ლისის სად. 3 ფ. 12 გ., აქტი ტფილ. სად. 4 ფ. 30 გ., აქტი ტფილ. სად. ?, ... რიგ. № 469 სატ. ბარ. № 143954—34 ფ., აქტი ტფილისის სად.—1 ფ. 781...